ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები; მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები; ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეები; მარჩენალგარდაცვლილის სტატუსის მქონე პირები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები. ბენეფიციარებისთვის, გარდა ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტებისა, დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით.</p>	
ღონისძიებების დასახელება	საბიუჯეტო თანხები	
სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება	50.0	
ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვების დახმარება	20.0	

		ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანების დახმარება	20.0						
		მხედველობით შშმ სტატუსის მქონე პირების დახმარება	20.0						
		ჰემოდიალიზზე მყოფი პირების დახმარება	130.0						
		ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირების დახმარება	10.0						
ქვეპროგრამის მიზანი		ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა							
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 3.8.1.1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ხარისხიან მედიკამენტებზე წვდომის უზრუნველსაყოფად მოქმედებს შესაბამისი მუნიციპალური პროგრამა.							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		მედიკამენტების ხელმისაწვდომობა							
		ინდიკატორის მაჩვენებლები							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	მიზნობრივი 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		11084	12434	13834	15217	16567	5%	

ქვეპროგრამის დასახელება		სამედიცინო დახმარება							
პროგრამული კოდი		06 01 03							
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		1520.0							
ფუნქციონალური კოდი		7074							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული -სოციალურ საკითხთა სამსახური							
ქვეპროგრამის აღწერა		ლონისძიებების დასახელება				საბიუჯეტო თანხები			
		ქვეპროგრამის მიზანია სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და სხვადასხვა შემთხვევების შედეგად დაავადებული, გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.							
		სამედიცინო მომსახურება				900.0			
		ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურება				620.0			
ქვეპროგრამის მიზანი		ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება							
		ინდიკატორის მაჩვენებლები							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები

1	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		23559	27059	30759	33834	36909	5%	არამომართვიანობა
---	-----------------------------------	--	-------	-------	-------	-------	-------	----	------------------

ქვეპროგრამის დასახელება		ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა							
პროგრამული კოდი		06 01 04							
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		35.0							
ფუნქციონალური კოდი		7074							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერისა და დანართის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად ფორმა N100-ის მიხედვით, არაუმეტეს 70 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, აღნიშნული პროგრამით არ დაფინანსდება ის ანტიკონვულსანტები, რომლებიც გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. ამავე პროგრამაში დაწესებული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, ბენეფიციარს დაუფინანსდება მედიკამენტები შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენისას. ამასთან, თითოეულ ბენეფიციარზე მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება გაიცემა სამ თვეში ერთხელ და შესაბამისად, დახმარების მიღება განხორციელდება არაუმეტეს 210 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით.</p>							
ქვეპროგრამის მიზანი		ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		მედიკამენტების ხელმისაწვდომობა							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
			საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი		
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		1462	1522	1692	1861	2030	5%	

ქვეპროგრამის დასახელება		ფენილკეტონურიითა და ცელაიკით დაავადებულ პირთა დახმარება							
პროგრამული კოდი		06 01 05							
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		144.0							
ფუნქციონალური კოდი		7074							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელაიკის დიაგნოზის მქონე პირები. არასრულწლოვან პირებს მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადების მომართვის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 300 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად საჭიროა ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, არასრულწლოვანის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის ადგილის შესახებ სამოქალაქო რეესტრიდან, ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან და ფორმა N100 სამედიცინო დაწესებულებიდან ერთჯერადად, პირველი მომართვისას.</p>							

ქვეპროგრამის მიზანი		ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ხელმისაწვდომი სპეციფიკური საკვები							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		87	127	169	211	253	5%	

პროგრამის დასახელება		სოციალური უზრუნველყოფა							
პროგრამული კოდი		06 02							
პროგრამის ბიუჯეტი		6488.4							
ფუნქციონალური კოდი		7074							
პროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							
პროგრამის აღწერა		პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას							
პროგრამის მიზანი		ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 1.3.1.2. - წლის განმავლობაში მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამურად გაცემული თანხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში; 1.ა.2. ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა) მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის პროპორციული ოდენობა.							
პროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის							

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა								

ქვეპროგრამის დასახელება		სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა							
პროგრამული კოდი		06 02 01							
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		70.0							
ფუნქციონალური კოდი		7109							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							

ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N1 და N3-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერჯისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქ. N40-ში და გუგუნავას ქ. N12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისების ბენეფიციართა მიერ დახარჯული ელექტროენერჯის თანხა ანაზღაურდება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, ლიმიტის- 60 ლარის ფარგლებში თითოეული აბონენტისთვის თვეში.							
ქვეპროგრამის მიზანი		სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფილი საცხოვრისი							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		432	527	627	727	827	5%	არამომარ თვინობა

ქვეპროგრამის დასახელება	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 02
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1115.0
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
	<p>ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) ან მეტი არასრულწლოვანი მეტი შვილი, რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0-დან 70 000-მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ მატერიალური დახმარება თვეში 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. მრავალშვილიან ოჯახებს ყოველთვიური დახმარება დაენიშნებათ განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. სავალდებულოა, რომ ორივე მშობელი მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში, ხოლო ერთ-ერთი მაინც რეგისტრირებული, დახმარების დანიშნამდე არანაკლებ ერთი წლისა. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტე) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, კერძოდ, 5 (ხუთი) შვილიან ოჯახს – 500 ლარის ოდენობით, 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილიანი ოჯახის დახმარება შეადგენს 1000 ლარს. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც 2024 წელს შეეძინება მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად. მე-4 შვილის შეძენისას დახმარება გაეწევა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, მე-5 შვილის შეძენისას – 1100 (ათასასი) ლარის ოდენობით, მე-6 შვილის შეძენისას – 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით, მე-7 შვილის შეძენისას – 1300 (ათასსამასი) ლარის ოდენობით, მე-8, მე-9 და ა.შ. შვილის შეძენისას – 1400 (ათასოთხასი) ლარის ოდენობით.</p> <p>მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებენ ელექტრო-ენერჯის დანახარჯის ანაზღაურებაში დახმარებას,</p>

		თანადაფინანსების სახით 20 ლარის ოდენობით. აღნიშნულ ლიმიტს დაემატება 10 ლარი ხუთშვილიანი ოჯახის შემთხვევაში, ასევე ყოველ მომდევნო შვილზე იგივე წესით. ხარჯი ანაზღაურდება ფაქტიური მოხმარების მიხედვით ლიმიტის ფარგლებში.							
		ღონისძიებების დასახელება				საბიუჯეტო თანხები			
		სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, ყოველთვიური მატერიალური დახმარება				310			
		მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება				600			
		მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის შეძენისას მატერიალური დახმარება				90			
		ხუთშვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება				70			
		მრავალშვილიანი ოჯახების, ელექტროენერჯის ხარჯის თანადაფინანსება				45			
ქვეპროგრამის მიზანი		ქალაქის დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია მრავალშვილიანი ოჯახების წახალისება და დახმარება							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		5043	5703	6393	7032	7702	5%	არამომართვიანობა
ქვეპროგრამის დასახელება		სარიტუალო დახმარება							
პროგრამული კოდი		06 02 03							
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		10.0							
ფუნქციონალური კოდი		7109							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარების საკითხი. დახმარებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს: ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა გარდაცვალების შესახებ, დასაფლავების ხარჯის გამღები პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ-19“ დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნას გარდაცვლილის ოჯახის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა გარდაცვალების შესახებ, დასკვნა სამედიცინო დაწესებულებიდან.
ქვეპროგრამის მიზანი	გარდაცვლილი ვეტერანის პატივგება.
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ვეტერანების პატივგება

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები								
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები	
	გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების რაოდენობა		405							

ქვეპროგრამის დასახელება	სოციალური ღონისძიებები	
პროგრამული კოდი	06 02 04	
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	903.0	
ფუნქციონალური კოდი	7109	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური	
	ღონისძიებების დასახელება	საბიუჯეტო თანხები
	ქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა	
	მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება	5.0
	აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	380.0
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების საკურორტო მომსახურების დაფინანსება	43.5

	ავღანეთის ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება	15.0
	2004 წელს აგვისტოს ქართულ – ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების მატერიალური დახმარება	13.5
	ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	15.0
	ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	360.0
	17 ოქტომბერს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით შშმ ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება	20.0
	„წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციის მხარდაჭერა	35.0
	100 და მეტი წლის ბენეფიციარების მატერიალური დახმარება	5.0
	აა(ი)პ „World Vision International“ საქართველოს ფილიალის თანადაფინანსება	10.0
	ღონისძიებების ფარგლებში გვირგვინებისა და თაიგულების შექმნა	1.0

ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	მიღება-ჩაბარების აქტი	51487	56087	60687	65287	69888	5%	არამომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა
პროგრამული კოდი	06 02 05
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	165.0
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქუთაისში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი 0-70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მათ მიერ მოხმარებული ელექტრო ენერჯისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. ბენეფიციარებს ყოველთვიურად აუნაზღაურდებათ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება წლიური ლიმიტის მიხედვით შემდეგნაირად: ერთწევრიან და ორწევრიან ოჯახებს 48 ლარი, სამ, ოთხ და ხუთწევრიან ოჯახებს - 72 ლარი, ექვს და შვიდწევრიან ოჯახებს - 96 ლარი, რვა და მეტ წევრიან ოჯახებს - 120 ლარი. თანხები გადანაწილდება თვეების მიხედვით პროპორციულად, რომელიც აუნაზღაურდება მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების მქონე ბენეფიციარებს. ელექტრო ენერჯის ღირებულების ანაზღაურება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიის „ეპ ჯორჯია მიწოდება“ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. ბენეფიციარები საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულებისაგან /სულზე 1 ლარი/ თავისუფლდებიან. ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, მემორანდუმის ფარგლებში მუდმივგანახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში ელექტროენერჯის აბონენტის ნომრის არარსებობის შემთხვევაში, ბენეფიციართა აბონენტის ნომრების იდენტიფიცირება მოხდება ბენეფიციარის განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადისტრიბუციო კომპანიის „ეპ ჯორჯია მიწოდებას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერი /ქვითარი/, სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.</p>							
ქვეპროგრამის მიზანი		ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა საყოფაცხოვრებო ყოფითი პირობების გაუმჯობესება							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		28876	31976	35276	38803	42330	5%	არამომართვიანობა
ქვეპროგრამის დასახელება		განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა							
პროგრამული კოდი		06 02 06							
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		170.0							
ფუნქციონალური კოდი		7109							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და							

<p>ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა სადამრღელო დაწესებულებიდან, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა. სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, მიტოვების რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად და ასევე, სახელმწიფო მზრუნველობიდან რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით, მატერიალური დახმარების გაწევა; ასევე, ჰემოდიალიზზე მყოფი პირების /პაციენტები/, სამედიცინო დაწესებულებაში მუდმივად ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა.</p>									
ლონისძიებების დასახელება					საბიუჯეტო თანხები				
ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარის, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და სრულწლოვანების გამო შეუწყდა მომსახურება, მატერიალური დახმარება (ერთეულის ხარჯი თვეში 200 ლარი)					20.0				
ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ჰემოდიალიზზე მყოფი ბენეფიციარების მატერიალური დახმარება (ერთეულის ხარჯი თვეში 100 ლარი)					104.0				
ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და იმავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახის/პირის მატერიალური დახმარება, რომელსაც 2024 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2024 წლის განმავლობაში მოიპოვებს ამ უფლებას, მის შეწყვეტამდე (ერთეულის ხარჯი თვეში 200 ლარი)					46.0				
ქვეპროგრამის მიზანი					ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა				
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა					3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა				
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები					მიმდინარე				
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი					ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება				
ინდიკატორის მაჩვენებლები									
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
			საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი		
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		1260	1410	1570	1727	1877	5%	არამომართვიანობა
ქვეპროგრამის დასახელება			შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა						
პროგრამული კოდი			06 02 07						
ქვეპროგრამის ბიუჯეტი			145.0						
ფუნქციონალური კოდი			7109						

ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე : ა) 0-5 წლის ბავშვები; ბ) 6 - დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000- ს. მათთვის უმთავრესი საჭიროების ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ: ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი ხელსახოცებით უზრუნველყოფა. დახმარების მთხოვნელი ყოველთვიურად, განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელ საბუთს, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ ცნობას აღნიშნული შშმ ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ, ანგარიშ-ფაქტურას ავთიაქიდან. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ყოველთვიურად გაიცემა 60 ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი.</p>							
		ღონისძიებების დასახელება				საბიუჯეტო თანხები			
		ჰიგიენური საფენებით დახმარება				90.0			
		სველი ხელსახოცებით დახმარება				55.0			
ქვეპროგრამის მიზანი		ბენეფიციართა დახმარება							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ბენეფიციართა დახმარება							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		800	1060	1320	1580	1840	5%	არამომართვიანობა
ქვეპროგრამის დასახელება		უფასო კვება							
პროგრამული კოდი		06 02 08							
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		976.0							
ფუნქციონალური კოდი		7109							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მაღლიერების სახლი“							
ქვეპროგრამის აღწერა		ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვება დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდება ოჯახებში ყოველდღიურად							
ქვეპროგრამის მიზანი		უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საკვების ხელმისაწვდომობა							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა; 2.1.1.1. შესაბამისი საჭიროების მქონე მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების მომსახურება უფასო სასადილოს პროგრამით							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება							
№	საბოლოო	ინდიკატორის მაჩვენებლები							

შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
ა(ა)იპ „მადლიერების სახლში“ მოსიარულე ბენეფიციართა რაოდენობა		750	750	710	710	710	10%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 09
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	18.0
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დახმარება გაეწევათ კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში – 95.0 ლარის ოდენობით და ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – 150.0 ლარის ოდენობით. დახმარების მიღება მოხდება ბენეფიციარის მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადების მომართვის თვიდან საგარანტიო წერილის საშუალებით, რომელიც გაიცემა თვეში ერთხელ ელემენტის ღირებულების ანაზღაურების და ექვს თვეში ერთხელ პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე. ბენეფიციარის 18 წლის შესრულების შემთხვევაში დახმარება შეწყდება ასაკის შესრულებიდან მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარება გაიცემა განცხადებასთან ერთად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. დახმარების მიმღებმა უნდა წარმოადგინოს: ა) მშობლის/უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობა; ბ) არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობა; გ) არასრულწლოვანი პირის ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი; დ) ფორმა №100 შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, ე) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		70	85	105	130	160	5%	არამომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა თანადგომა
პროგრამული კოდი	06 02 10

ქვეპროგრამის ბიუჯეტი		65.0							
ფუნქციონალური კოდი		7109							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 0-18 წლამდე ასაკის პირები. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს მატერიალური დახმარება გაეწევთ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადებით მომართვის საფუძველზე, სამ თვეში ერთხელ საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარის ოდენობით							
ქვეპროგრამის მიზანი		ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		172	207	247	271	295	5%	არამომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება		შინმოვლა							
პროგრამული კოდი		06 02 11							
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		75.0							
ფუნქციონალური კოდი		7109							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური							
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები (შემდგომ – მოსარგებლე), რომელთათვისაც უძღურების შეფასების ბართელის კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულა (შემდგომ – ბართელის ინდექსი) არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე. ვაუჩერული წესით მიიღებენ შესაბამის დაფინანსებას.							
ქვეპროგრამის მიზანი		ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და სოციალური პირობების გაუმჯობესება							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება							
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		640	780	940	1034	1154	5%	არამომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია
პროგრამული კოდი	06 02 13
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1755.0
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2 – 17 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD-10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“; „F84.9“), სარეაბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS-2“ ტესტირების აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგის საფუძველზე. მიმწოდებელი ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. მომლოდინეთა სიაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურში, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის წერილობითი მომართვის საფუძველზე. ქვეპროგრამით განსაზღვრულ სერვისებს წარმოადგენს: მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა; ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალურ – ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ მიმწოდებელ ორგანიზაციებზე ვაუჩერული მეთოდით, სრულად, თითოეულ ბენეფიციარზე თვეში 420 ლარის ოდენობით.
----------------------------	--

ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	ინდიკატორის მაჩვენებლები					ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
			საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი		
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	მიღება-ჩაბარების აქტი	1015	1367	1717	2067	2417	5%	არამომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
პროგრამული კოდი	06 02 14
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	35.0
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას. კონკურსის წესის შესაბამისად შეირჩევა სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტები. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს. ასევე, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, დებულებასა და კონკურსის პირობებს ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი. სადაც ასახული იქნება ინფორმაცია პროექტის შესახებ. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.kutaisi.gov.ge. განთავსდება ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების თაობაზე, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით. სავალდებულოა, საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდეს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. საკონკურსო განაცხადების შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი განაცხადები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ დათქმულ ვადებში. თანამშრომლობა გამარჯვებული პროექტის ავტორსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ფორმდება მემორანდუმის სახით, სადაც ნათლად იქნება ასახული მხარეთა ვალდებულებები. მხარეებს შორის მემორანდუმი გაფორმდება მას შემდეგ რაც კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი დასკვნის საფუძველზე, რომელიც გაფორმდა ოქმის სახით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შერჩეული პროექტისათვის დაფინანსება/თანადაფინანსების გაცემის თაობაზე. ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება.

ქვეპროგრამის მიზანი ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია

გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა

ქვეპროგრამის განხორციელების ვადები მიმდინარე

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი			
	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა		11	15	20	22	25	5-10%	არამომართვიანობა	

ქვეპროგრამის დასახელება	შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა
პროგრამული კოდი	06 02 15
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	82.2
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის მიზანია სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებსა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დღის ცენტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება. ასევე 6-დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა - 46,2 ლ. 2024 წლის განმავლობაში დაფინანსების /თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, ყოველთვიურად წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებისა და ქვითრების შესაბამისად. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე. ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს თვის კომუნალურ ხარჯს ჯამურად 300 ლარამდე, ზაფხულის თვეებში დაფინანსდება არაუმეტეს 150 ლარისა, ხოლო ზამთრის თვეებში კი წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯის მიხედვით, არაუმეტეს 300 ლარისა. 300 ლარს ზემოთ წარმოდგენილი კომუნალური ხარჯის შემთხვევაში, ზაფხულის თვეებში დაფინანსდება არაუმეტეს 300 ლარისა, ზამთრის თვეებში /დეკემბერი, იანვარი, თებერვალი/ კი ფაქტიური ხარჯის მიხედვით არაუმეტეს 600 ლარისა.							
		ღონისძიებების დასახელება				საბიუჯეტო სახსრები			
		ცენტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება				36.0			
		6-დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა				46.2			
ქვეპროგრამის მიზანი		ქვეპროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ფუნქციონირებადი ორგანიზაციები							
ინდიკატორის მაჩვენებლები									
№	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზის ო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
	ქვეპროგრამაში მონაწილე ორგანიზაცია თა რაოდენობა	მიღება-ჩაბარების აქტი	53	62	71	80	89	5%	არამომარ თვიანობა

